ფ ა ს ი

კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.

სახელმწიფო დაწეს. 7.000 მანეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეორე

მოამბე

შაბათი, თებერვლის 18. 1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 29 ყოველ კვირეული ორგანო. № 29

მიიღება ხელის მოწერა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველ კვირეულ ჟურნალ

„მ ო ა მ ბ ე“-ზე

1922 წლის პირველ იანვრიდან ჟურნალი თვიურად ეღირება პარტიულ, სახელმწიფო და პროფესიონალურ დაწესებულებათათვის თვეში 28,000 მანეთი, (ცალკე ნომერი 7,000 მ.), კერძო პირთათვის თვეში 40,000 მან. (ცალკე ნომერი 10,000 მან.).

ჟურნალში მოსათავსებლად მიიღება განცხადებანი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, აგრეძვე კერძო პირთაგან.

ყველა მოქალაქე ვალდებულია „მოამბე“-ში მოათავსოს განცხადება პირადობის დამამტკიცებელ მოწმობის დაკარგვის შესახებ.

რედაქცია ღიაა დილის 8 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

ოფიციალური განყოფილება.

დ ე კ რ ე ტ ი № 87

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევ. კომიტეტისა

აქტების და დოკუმენტების თანხებისა და საღერბო გადასახადის განაკვეთთა შეცვლისა და საკანცელარიო ბაჟის შესახებ.

1. საღერბო გადასახადი

ვიდრე საღერბო გადასახადის წესდება გადაისინჯებოდეს, აწ მომქმედ წესდების ზოგიერთი მუხლის შესაცვლელად და ამა წლის აგვისტოს 26 თარიღითა და მე-61 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე 6 განყოფილების გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს: შეცვლილ იქნეს საღერბო გადასახადის განაკვეთები და აქტებისა და დოკუმენტების თანხები შემდეგნაირად:

1. გადადებულ იქნეს 1919 წლის მაისის 27 კანონით დაწესებული რაოდენობა მარტივი საღერბო გადასახადისა: 4 მანეთიდან 10.000 მანეთამდე, 2 მ,-დან. 5.000 მან-დე, 40 კაპეიკიდან 2.000 მ-დე, 30 კ-დან 1.500 მ-დე, 20 კ-დან 1.000 მ-დე და 10 კ-დან 500 მანეთამდე.

შენიშვნა: საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნეს თხოვნები სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახურზე მიღებისა და ნამსახურობის შესახებ.

2. საღერბო გადასახადის წესდების მე-13 მუხლის 21 პუნქტი და 45 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგნაირად:

„იმ აქტებისა და დოკუმენტების ამონაწერებს (პირველისა ან მთავარი ცალის გარდა) და ასლებს, რომელთათვისაც დაწესებულია პროპორციონალური საღერბო გადასახადი, აგრეთვე იმ სავალო ვალდებულებათა საპროტესტო აქტებს, რომელთათვისაც დაწესებულია სათამასუქო გადასახადი, დაედოს 10.000 მანეთი საღერბო გადასახადი იმ შემთხვევაში თუ აქტის ან დოკუმენტის ან საპროტესტო სავალო ვალდებულების დედნის პირველი ან მთავარი ამონაწერის გადასახადი 10.000 მანეთზე ნაკლები არ არის".

3. საღერბო გადასახადის წესდების მე-13 მუხლის მე-18 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებულ აქტებსა და დოკუმენტებს დაედოს მარტივი საღერბო გადასახადი: თუ თანხა 150.000 მანეთზე მეტია ან გადაჭრით არ არის განსაზღვრული,—10.000 მანეთი, ხოლო, თუ თანხა 150,000 მანეთს არ აღემატება,—1.000 მანეთი.

4. მე-13 მუხლის 27 პუნქტსა, მე-14 მუხლის მე 6 პუნქტსა, მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტსა, მე-18 მიხლის 1-ლ პუნქტსა, მე-20 მუხლის მე-6 პუნქტსა და 51[1] მუხლში დასახელებულ აქტებსა და დოკუმენტებს დაედოს საღერბო გადასახადი: ა) თუ დაზღვევის პრემია ერთ მილიონ მანეთზე მეტია—უმაღლეს გადანაკვეთის (ოკლადი) საღერბო გადასახადი; ბ) თუ დაზღვევის პრემია 100.000 მანეთზე მეტია. მაგრამ ერთ მილიონ მანეთს არ აღემატება—10.000 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი; გ) თუ დაზღვევის პრემია 50.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 100.000 მანეთს არ აღემატება—5.000 მან.; დ) თუ დაზღვევის პრემია 30.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 50.000 მან. არ აღემატება 15000 მან., ე) თუ დაზღვევის პრემია 10 000 მანეთზე მეტია, მაგრამ 30.000 მან. არ აღემატება—1.000 მან. და ვ) თუ დაზღვევის პრემია 10.000 მან. არ აღემატება—500 მანეთი.

5. მე-13 მუხლის 28 პუნქტსა, მე-14 მუხლის მე-7 პუნქტსა და მე-17 მუხლის მე 5 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს დაედოს მარტივი საღერბო გადასახადი: ა) თუ საშუამავლო (საკუსტაჟო) თანხა 100.000 მანეთზე მეტია—10.000 მანეთი; ბ) თუ საშუამავლო თანხა 50000 მანეთზე მეტია, მაგრამ 100.000 მანეთს არ აღემატება—5 000 მან. და გ) თუ საშუამავლო თანხა 50. 000 მანეთს არ აღემატება—1.500 მან.

6. მე-13 მუხლის 29 პუნქტსა, მე 14 მუხლის მე-8 პუნქტსა, მე-17[1] მუხლის მე-6 პუნქტსა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს დაედოს მარტივი საღერბო გადასახადი: ა) თუ თანხა 900 000 მანეთზე მეტია—10.000 მან.; ბ) თუ თანხა 300 000 მანეთზე მეტია, მაგრამ 900.000 მანეთს არ აღემატება—5 000 მან , თუ თანხა 150.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 300.000 მანეთს არ აღემატება—1.500 მან. და დ) თუ თანხა 150.000 მანეთს არ აღემატება—1.000 მან.

7. მე-13 მუხლის 30 პუნქტსა, მე 14 მუხლის მე-9 პუნქტსა და მე-17[1] მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს დაედოს მარტივი საღერბო გადასახადი: ა) თუ თანხა 250.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 650.000 მანეთს არ აღემატება—10.000 მან; ბ) თუ თანხა 75.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 250.000 მანეთს არ აღემატება—5.000 მან. და გ) თუ თანხა 75000 მანეთს არ აღემატება—1.500 მან.

8. მე-13 მუხლის 31 პუნქტსა, მე-14 მუხლის მე-10 პუნქტსა და მე-17[1] მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს დაედოს მარტივი საღერბო გადასახადი: ა) თუ თანხა 250.000 მანეთზე მეტია—10.000 მან.; ბ) თუ თანხა 75.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 250.000 მანეთს არ აღემატება—5.000 მან. და გ) თუ თანხა 75.000 მანეთს არ აღემატება—1.500 მანეთი.

9. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტსა, მე-17[1] მუხლის 1-ლ პუნქტსა, მე-18 მუხლის მე-6 პუნქტსა და მე-20 მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულ აქტებს და დოკუმენტებს დაედოს მარტივი საღერბო გადასახადი: ა) თუ თანხა 750.000 მანეთზე მეტია—2.000 მან., ბ) თუ თანხა 500.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 750.000 მანეთს არ აღემატება—1.500 მან., გ) თუ თანხა 250.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 500.000 მანეთს არ აღემატება—1.000

მან. და დ) თუ თანხა 250.000 მანეთს არ აღემატება—500 მან.

10. მე-16 მუხლის მე 3 პუნქტსა და მე-17[1] მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 500 000 მანეთზე მეტია, დაედოს 2 000 მანეთის საღერბო გადასახადი: თუ თანხა 300.000 მ-ზე მეტია, მაგრამ 500.000 მ-თს არ აღემატება—1.500 მან., ხოლო თუ თანხა 300.000 მ-დეა—თავისუფალია საღერბო გადასახადისაგან.

11. მე-17 მუხლის 1-ლ პუნქტსა და 21 მუხლის მე 4 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 150.000 მანეთზე მეტია, დაედოს 2.000 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი, ხოლო თუ თანხა 150.000 მანეთს არ აღემატება—500 მან.

12. მე 17[1] მუხლის მე-14 პუნქტსა და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა150.000 მანეთზე მეტია, დაედოს 1.500 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი, ხოლო, თუ თანხა 50.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 150.000 მანეთს არ აღემატება—1.000 მან.

13. მე-18 მუხლის მე-4ა პუნქტში აღნიშნულ აქტებს და დოკუმენტებს, თუ თანხა 150 000 მანეთს არ აღემატება, დაედოს 1.000 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი.

14. მე-18 მუხლის მე-4ბ პუნქტში აღნიშნულ აქტებს და დოკუმენტებს, თუ თანხა 50.000 მანეთამდეა, საღერბო გადასახადი არ დაედება, ხოლო, თუ თანხა 50.000 მანეთზე მეტია, მაგრამ 150 000 მანეთს არ აღემატება, დაედოს 1.000 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი და თუ თანხა 150.000 მანეთზე მეტია—უნდა დაედოს პროპროციონალური საღერბო გადასახადი, თანახმად წესების 48 მუხლისა.

15. მე-18 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-20 მუხლის მე 9 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს დაედოს 1.000 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ ის გადასახადი რომელიც თვით გარიგებას (სდელკა) უნდა დაედოს, აღნიშნულ თანხაზე ნაკლები არ არის. და 500 მან.—თუ გარიგებაზე დასადები გადასახადი ამდენია.

16. მე-18 მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 100 000 მანეთს არ აღემატება, დაედოს 1.000 მანეთიანი მარტივი საღერბო გადასახადი, ხოლო, თუ თანხა 100.000 მანეთზე მეტია—პროპორციონალური საღერბო გადასახადი, თანახმად წესდების 48 მუხლისა.

17. მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 50.000 მანეთზე მეტი არ არის, საღერბო გადასახადი არ დაედება, ხოლო, თუ თანხა 50.000 მანეთს აღემატება, დაედოს 500 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი.

18. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში დასახელებულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 50 000 მანეთზე მეტია, დაედოს 500 მან. მარტივი საღერბო გადასახადი.

19. მე-20 მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 500 000 მანეთს არ აღემატება, დაედოს 500 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი.

20. 21 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 50 000 მანეთზე მეტია, დაედოს 500 მანეთის მარტივი საღერბო გადასახადი.

21. 31 მუხლში აღნიშნული აქტებსა და დოკუმენტებს ხელშეკრულების დადების დროს საღერბო გადასახადი დაედოს იმ შემთხვევაში, თუ თანხა 15 მილიონი მანეთია.

22. საღერბო გადასახადის წესდების 47 მუხლით დადგენილი სათამასუქო საღერბო გადასახადი დაედოს 48 მუხლში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს იმ გარაუდით, რომ ამ აქტების და დოკუმენტების თანხის ყოველ 100 მანეთზე გადახდილი მოდიოდეს 50 კ., ამასთანავე 100 მანეთზე ნაკლები თანხაც 100 მანეთად უნდა იანგარიშებოდეს:

23. წესდების 48 მუხლში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს სათამასუქო საღერბო გადასახადი დაედოს იმ შემთხვევაში, თუ თანხა 100,000 მანეთზე მეტია.

24. საღერბო გადასახადის წესდების 50 მუხლის ძალით დაწესებული სააქტო საღერბო გადასახადი უმაღლესი გადანაკვეთისა დაედოს წესდების 51, 51[1], 52 და 53 მუხლებში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს: თუ აქტის თანხა 10.000 მანეთამდეა—ერთი მან. ყოველ 100 მანეთზე ამაზე ზევით კი ათი მანეთი ყოველ 1.000 მანეთზე, ამასთანავე 100 და 1.000 მანეთზე ნაკლები თანხა 100 და 1000 მანეთად უნდა იანგარიშებოდეს.

25. საღერბო გადასახადის წესდების 57, 57[1] მუხლებში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს დაბალი განაკვეთის სააქტო საღერბო გადასახადი დაედოს: თუ აქტის თანხა 10,000 მანეთამდეა—ათი კაპ. ყოველ 100 მანეთზე, ხოლო ამაზე ზევით—თითო მანეთი ყოველ 1.000 მანეთზე, ამასთანავე 100 და 1.000 მანეთზე ნაკლები თანხა 100 და 1.000 მანეთად უნდა იანგარიშებოდეს.

26. ამა დეკრეტის 1 მუხლის შენიშვნის ძალით საღერბო გადასახადი წესდების 74 მუხლის მე-8 პუნქტის მოქმედება გაუქმებულ იქნეს.

27. 67 მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 900.000 მანეთს არ აღემატება, საღერბო გადასახადი არ დაედება.

28. 68 მუხლის მე-2 პუნქტსა, 72 მუხლის მე-5, 6 და 14 პუნქტებსა და 74 მუხლის მე 9 პუნქტში აღნიშნულ აქტებსა და დოკუმენტებს, თუ თანხა 50.000 მანეთს არ აღემატება, საღერბო გადასახადი არ დაედება.

29. 117 და 178 მუხლებში აღნიშნულ, შინაური წესით შედგენილ, აქტებისა და დოკუმენ-

ტიბის (თამასუქების გარდა) საღერბო გადასახადის გასტუმრება შეიძლება საღერბო მარკებითაც, ხოლო მარკებით გადახდილი თანხა 80.000 მან. არ უნდა აღემატებოდეს გადასახადდასადებ თვითეულ აქტსა და დოკუმენტებზე.

30. 123 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ, სავალო ვალდებულებათა წარწერებისათვის, როდესაც თანხა 150.000 მანეთზე მეტია, პროპორციონალური საღერბო გადასახადის გასტუმრება შეიძლება საღერბო მარკებითაც, მაგრამ მარკებით გადასახადი თანხა 80.000 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

31. 128 მუხლით დადგენილი წესი საღერბო გადასახადის დამატებითი გაღებისა—127 მუხლში აღნიშნულ აქტებისა და დოკუმენტებისათვის შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახადდასადები თანხა არ აღემატება: მე 60 და 61 მუხლებში დასახელებულ აქტებისა და თუ დოკუმენტებისათვის 4 მილ. მანეთს, ხოლო სხვა აქტებისა და დოკუმენტებისათვის—400.000 მანეთს.

32. ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირი ხარკის განყოფილების შესახებ დადგენილება, მიღებული 195 მუხლის წესით, საღერბო ჯამის გადახდევინების შესახებ, ითვლება საბოლოოდ, თუ ჯარიმა 50,000 მანეთს არ აღემატება, ხოლო, თუ დადგენილება ამაზე მეტ თანხას ეხება, დაცულ უნდა იქნეს წესდების 197 მუხლით დადგენილი წესი.

33. კერძო პირთ თუ დაწესებულებათ საღერბო გადასახადის წესდების 170 მუხლში აღნიშნული წესის დარღვევისათვის გადახდებათ ჯარიმა ერთიანად.

34. გაბათილებულ იქნეს საღერბო ჯარიმის ის ნარჩენი, რაც მოგროვდა ამა დეკრეტის გამოცემამდე და რაც 10.000 მანეთს არ აღემატება, ხოლო დაუმთავრებელი საქმეები ამის შესახებ მოისპოს.

2. საკანცელარიო ბაჟი.

1. ყოველმა სახელმწიფო დაწესებულებამ და თანამდებობის პირმა ხაზინის სასარგებლოდ უნდა გადაახდევინოს კერძო პირს თუ დაწესებულებას საკანცელარიო ბაჟი ქაღალდის ასლის გაცემისათვის, აგრეთვე მათ კერძო საქმეების გამო მიცემულ მოწმობისა ცნობისა და სხვა ქაღალდის დაწერისათვის 3.000 მანეთი ყოველ ფურცელში და 1.500 მანეთი ყოველ ნახევარ ფურცელში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ. თავმჯდ.
მოადგილე **ს. ქავთარაძე.**
ფინანსთა სახალხო კომისარი **სვანიძე.**
რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. იანვრის 3.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 131

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუც. კომიტეტისა საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის დაარსების შესახებ გამოცემული დადგენილების დამატებისა.

საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის დაარსების შესახებ 1921 წლის აგვისტოს 4-ს თარიღითა და 54 № ით გამოცემული დადგენილების დამატებად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. **ს. ქავთარაძე** თავმჯდომარის მოადგილედ—**დონენკო**. კომიტეტის წევრებად: ამხ. **კანდელაკი**—განათლების სახალხო კომისარი; ამხ. **სვანიძე**—ფინანსთა სახალხო კომისარი; ამხ. **კუჭაიძე**—ჯანმრთელობის სახალხო კომისარი; ამხ. **თოდრია**—სოც. უსრუნველყოფის სახალხო კომისარი; ამხ. **კვირკელია**—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენელი; ამხ. **საყვარელიძე**—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი; ამხ. **ამრალოვი**—სასურსათო სახალხო კომისარ. წარმომადგენელი; ამხ. **ბობოხიძე**—საქ. წითელი არმიის წარმომადგენელი; ამხ. **კოზლოვსკი**—კავკასიის ცალკე არმიის წარმომადგენელი; ამხ. **რაბინოვიჩი**—საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი; ამხ. **ოდილავაძე**—პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი; ტფილისის ქალაქის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს ორი წარმომადგენელი; თითო წარმომადგენელი ტფილისის კომიტეტისა, მუშათა კოოპერატივისა და კომუნისტური ახალგაზდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა.

2. დამხმარე კომიტეტს უმაღლესი კომისიის უფლება ეძლევა ყველა კომისარიატისა და საბჭოთა დაწესებულებების მოქმედების გაერთიანებისა და შეთანხმებისათვის შიმშილთან ბრძოლის საქმეში, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

3. ყოველ კომისარიატისა და საბჭოთა დაწესებულებასთან ერთი კვირის განმავლობაში მოეწყოს საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომისია ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირის ხელმძღვანელობით; აღნიშნული კომისიები აწარმოებენ მუშაობას მხოლოდ თავიანთ კომისარიატებში, ანგარიშვალდებულნი არიან დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის წინაშე და მოქმედებენ მისივე კონტროლით.

4. ცენტრალურ კომიტეტს უფლება ეძლევა კონტროლი გაუწიოს დამშეულ ადგილების ბავშვთა მოვლა-პატრონობასა, ლტოლვილთა მოვლასა და აგრეთვე დამშეულთა დახმარებისათვის ყოველ მიღებულ ღონისძიებას.

5. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა თვეში ერთხელ მაინც უნდა წარუდგინოს საქართველოს

რევოლიუციონურ კომიტეტსა და ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს ანგარიში თავისი მოქმედებისა.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ.
თავმჯდ. მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევ. კომიტ. მდივანი **ალ. სვანიძე.**

1922 წ. იანვრის 10.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 134

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ რევოლიუციონურ კომიტეტისა.

სამოქალაქო საქმეთათვის სასამართლო ხარჯების შესახებ.

1. სახალხო სასამართლოებში ყველა შეტანილს ქაღალდს და აქედანვე გაცემულ აღმასრულებელ ფურცელს, გადაწყვეტილების ასლს, ცნობას, მოწმობას და სხვა ქაღალდს დაედოს სადერბო გადასახადი, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 61 №-რის დეკრეტისა.

შენიშვნა: სადერბო ხარჯის გაუღებლად შეტანილ არზას და სხვა ქაღალდს მსვლელობა არ უნდა მიეცეს, თუ ეს ხარჯი გადახდილ არ იქნება შვიდი დღის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა ამის შესახებ მოდავისათვის. ამ ვადის გასვლის შემდეგ არზა, რომლისთვისაც ხარჯი არ იქნება შეტანილი, უნდა დაუბრუნდეს შემტანს.

2. თვითეული სარჩელის არზისა და აგრეთვე შეგებებული სარჩელის არზისათვის გადახდილ უნდა იქნეს სასამართლო ბაჟად $2^{0}/_{0}$ საძიებელი თანხისა, რაც შეადგენს სარჩელის საფასურს.

შენიშვნა 1: ამ შემთხვევაში, თუ საძიებელი თანხა გადიდებული იქნება, გადახდილ უნდა იქნეს სათანადო დამატებითი ბაჟიც.

შენიშვნა 2: იმ საქმის გამო, რომელიც შესაფასებელი არ არის, სასამართლო ბაჟს აწესებს სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დროს 5.000 მან.—3.000.000 მანეთამდე, საქმის თვისების მიხედვით. დადგენილება ბაჟის რაოდენობის შესახებ არ გასაჩივრდება.

შენიშვნა 3: სასამართლო ბაჟი და აგრეთვე სადერბო გადასახადი გასტუმრებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული მარკების საშუალებით, ან ნაღდ ფულად, რაც შეტანილი უნდა იყოს ადგილობრივ ხაზინაში. ხოლო იმ ადგილებში, სადაც ხაზინა არ არსებობს, ამ შემთხვევაში, თუ საძიებელი თანხა ათ მილიონ მან. არ აღემატება, სადერბო გადასახადი და ბაჟი უნდა შეტანილ იქნეს სათანადო სახალხო სასამართლოში, რომელმაც თვის განმავლობაში შეგროვილი ბაჟისა და გადასახადის მთელი თანხა უნდა შეიტანოს ხაზინის შემოსავლად უახლოეს ხაზინაში არა უგვიანეს შემდეგის თვის 10 რიცხვისა. იმ შემთხვევაში, თუ საძიებელი თანხა ათ მილიონ მან. აღემატება, სადერბო გადასახადი და ბაჟი უნდა შეტანილ იქნას უშუალოდ უახლოეს ხაზინაში.

3. ქაღალდის ასლის თვითეულ ფურცელზე დადებულია გადასახადად 3.000 მან. ასლის ნახევარ ფურცელზე—კი 1.500 მან. ამასთანავე ასლი ნახევარ ფურცელზე მეტი ითვლება მთელ ფურცლად, ნახევარ ფურცელზე ნაკლები—კი ნახევარ ფურცლად.

4. პუბლიკაციის (საჯარო განცხადების) დასაბეჭდად გადახდილ უნდა იქნეს 5.000 მან., რაც ხაზინის შემოსავალში შეიტანება.

5. მცოდნე პირთა (ექსპერტების) გასამრჯელო განისაზღვრება სასამართლოს მიერ 10.000 დან 100.000 მანეთამდე, შრომის თვისების დასკვნაზე დახარჯულ დროისა და სხვა გარემოებათა მიხედვით. სასამართლოს მიერ დაახლოვებით გამოანგარიშებული გასამრჯელო წინდაწინვე უნდა იქნეს შეტანილი სასამართლოს დეპოზიტში.

6. ამა დადგენილების 1 მუხლის შენიშვნისა, მე 2 მუხლის მე-2 შენიშვნისა და მე-5 მუხლში აღნიშნულ და მოდავეთაგან შეტანილ გადასახადს, სახალხო მოსამართლის განკარგულებით, გადაახდევინებს მილიცია ან სასამართლოს აღმასრულებელი უდავო წესით.

7. საწარმოო კავშირების მუშა წევრი და გლეხი, რომელიც წარადგენს თემის და მაზრის რევოლიუციონური კომიტეტების (აღმასრ. კომიტ.), მოწმობას, აგრეთვე სხვა რომელიც დაქირავებულ შრომას არა სარგებლობს და რომელიც წარადგენს საკმარისს საბუთს, რომ ხელმოკლეობის გამო—არ შეუძლიან გადაიხადოს ამა დადგენილებაში აღნიშნული ბაჟი და გადასახადი,—განთავისუფლებულ უნდა იქნეს ამ გადასახადისაგან.

8 სახელმწიფო დაწესებულებანი და მუშათა გაერთიანებული კოოპერატივი თავისუფალნი არიან ამა დადგენილებაში აღნიშნულ ბაჟისა და გადასახადისაგან.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
რევ. კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სვანიძე.**

1922 წ. იანვრის 11.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 135

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

სამხედრო სავეტერინარო ნაწილის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სასანიტარო განყოფილებასთან შეერთების შესახებ.

საბჭოთა საქართველოში სავეტერინარო საქმის სათანადო ნიადაგზე დაყენებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შეერთებულ იქნეს ცალკე ქართული ბრიგადის სავეტერინარო ნაწილი მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო-სასანიტარო განყოფილებასთან ერთ ცენტრად—სამხედრო სავეტერინარო ნაწილის სახით.

2. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სასანიტარო განყოფილების სამხედრო სავეტერინარო ნაწილი დაექვემდებაროს სამხედრო უწყებას ოპერატიულის მხრით, ხოლო სპეციალურ სამეცნიერო საკითხებში—მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო-სასანიტარო განყოფილებას.

3. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო-სასანიტარო განყოფილების სამხედრო სავეტერინარო ნაწილის მთელი პერსონალი ჯამაგირით, დღიური სარგოთი, სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმელ-ფეხსაცმელით დაკმაყოფილებულ იქნეს სამხედრო უწყებიდან, როგორც წითელ-არმიელნი.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
რევ. კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. იანვრის 31.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 136

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

სახალხო ბანკის წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო ბანკის წესდება, დამტკიცებული საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის აგვისტოს 26 თარიღითა და 68 №-რის დეკრეტით, შეცვლილ და შევსებულ იქნეს ემდეგნაირად:

ა) პუნკ. 55 თავი—„სახალხო ბანკის მმართველობის ორგანოები"—შეიცვალოს შემდეგ რედაქციით:

„ბანკის მმართველს დანიშნავს უშუალოდ ფინანსთა სახალხო კომისარი. მმართველის ამხანაგს და გამგეობის წევრებს ამოირჩევს ბანკის საბჭო იმ კანდიდატთა შორის, რომელთაც წარმოადგენს ბანკის მმართველი და დაამტკიცებს ფინანსთა სახალხო კომისარი".

ბ) პუნკ. 88 თავი—„ბანკის ხარჯები, ანგარიშგება და კონტროლი"—შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ბანკის ხარჯები დაიფარება მისივე მოგებიდან, ამ ხარჯების აღრიცხვას შეადგენს ბანკის გამგეობა და,—ბანკის საბჭოს მიერ განხილვისა და დადასტურების შემდეგ, აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნის მიღებისას,—დასამტკიცებლად წარედგინება ფინანსთა სახალხო კომისარს. იმავე წესით უნდა დამტკიცდეს აღრიცხვის დამატებითი ასიგნაციები, რომელთა გათვალისწინება აღრიცხვის შედგენის დროს შეუძლებელი იყო".

2. ზემოაღნიშნულ ცვლილებათა მიხედვით საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო ბანკის წესდებას დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„96. ყველა თავის მოქმედებასა და განკარგულებისათვის სახალხო ბანკი ყოველმხრივ ხელმძღვანელობს ფინანსთა სახალხო კომისარის დირექტივებით".

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის „3".
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 137

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა

სამეურნეო ორგანოების მომარაგების შესახებ—ტვირთზიდვის ხარკის წესით გაწვეულ მუშა-ხელითა და ტვირთზიდვის საშუალებით.

შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის წესით გაწვეული მუშა-ხელისა ტვირთზიდვის საშუალებათა წესიერად და რაციონალურად განაწილებისათვის სამეურნეო ორგანოებ შორის, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დამყარებულ იქნეს წესი შრომისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის ხარკით იმ სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა საჭიროების დაკმაყოფილებისა მუშა-ხელითა და შარა-გზებით ტვირთზიდვის საშუალებით, რომელნიც მოხსნილ არ არიან სახელმწიფო მომარაგებისაგან, დაკმაყოფილება უნდა მოხდეს შემდეგი რიგით:

ა) დამზადება და გადაზიდვა სათბობი მასალებისა;

ბ) გადაზიდვა სასურსათო ტვირთისა და საქონლის საკვებისა (ფურაჟი);

გ) შეკეთება და გაყვანა რკინისგზების და გზატკეცილებისა, გაწმენდა და გაყვანა სარწყავი არხებისა;

დ) სხვა უაღრესი სამუშაო სახელმწიფო მნიშვნელობისა.

2. დაკმაყოფილებულ არ უნდა იქნეს შრომისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის ხარკის წესით, როგორც საერთო დებულება საჭიროებანი:

ა) კერძო და კოოპერატიულ საწარმოო და სხვა დაწესებულებისა და მეურნეობისა;

ბ) კონტრაგენტისა და იჯარით გაცემული საწარმოო დაწესებულებისა, თუნდაც იგი სახელმწიფო დავალებას ასრულებდეს;

გ) იმ სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებისა და მეურნეობისა, რომელიც მოხსნილია ყოველგვარი სახელმწიფო მომარაგებისაგან.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამ დადგენილების მეორე მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებებისათვის შეუძლებელი გახდება ნებაყოფლობით მუშა-ხელისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის საშუალებათა დაქირავება და მათთვის დაკისრებული უაღრესი სახელმწიფო და ვალების აღსრულება, შეიძლება, გამონაკლისის სახით, უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული დადგენილების თანახმად, მათი დაკმაყოფილება და შარა-გზებით ტვირთზიდვის ხარკის წესით გაწვეული მუშა-ხელითა და შარა-გზებით ტვირთზიდვის საშუალებითა.

4. იმ საწარმოო დაწესებულებამ და პირმა, რომელიც, ამა დადგენილების მესამე მუხლის ძალით, მიიღებს შრომისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის ხარკის წესით გაწვეულ მუშა-ხელისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის საშუალებას, უნდა შეიტანოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის კასაში სათანადო თანხა იმ შეფასებით, რომელსაც დადგენს უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგილობრივი ბაზრის ფასების მიხედვით.

5. ის დაწესებულება და პირი, რომელიც, შრომის სახალხო კომისარიატის მეშვეობით, მიიღებს შრომისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის ხარკის წესით გაწვეულ მუშა-ხელსა და შარა-გზებით ტვირთზიდვის საშუალებას—პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, უკეთუ მისი მოთხოვნილება მუშა ხელისა და შარა-გზებით ტვირთზიდვის საშუალებისა არ შეეფერება სინამდვილეს, და უკეთუ იგი შესაფერ ღონისძიებას არ მიიღებს მათი საუმჯობესოდ მოხმარებისათვის და შრომის დაცვისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტ. თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შრომის სახალხო კომისრის მოადგ. **ა. მიქაძე.**

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 3.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 139

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტისა
სავალიუტო ოპერაციების შესახებ.

სავალიუტო ოპერაციების მოწესრიგების მიზნით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა საბჭოთა, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებას და პირს, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, სახალხო ბანკის გარეშე, წარმოება უცხოეთის ვალიუტის ყოველგვარი ოპერაციისა, როგორც საკუთარი ანგარიშით აგრეთვე მესამე პირთა ანგარიშით; ამასთანავე აღიკრძალება ყიდვა, გაყიდვა და დახურდავება უცხოეთის ფულის ნიშნებისა ჩეკებისა და ტრატტისა.

2. საბჭოთა, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება და პირი, რომელსაც საჭიროება ექნება იყიდოს ან გაყიდოს ვალიუტა,—მიმართავს სახალხო ბანკს, სადაც ყოველგვარი გარიგება მოხდება ნებაყოფლობითი შეთანხმებით.

3. მიენიჭოს სახალხო ბანკს უფლება,—განსაკუთრებულ შემთხვევაში, მისცეს ხოლმე საბჭოთა, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათ და პირთ ნებართვა უცხოეთის ვალიუტის შესყიდვისა.

4. ყველა ის პირი, ვინც შენიშნული იქნება ამა დადგენილების მოთხოვნილებათა დარღვევაში, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით და ნასყიდი ან გასაყიდი უცხოეთის ვალიუტის კონფისკაციით.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
რევოლიუციონური კომიტეტის თავ-
მჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

ფინანსთა სახალხო კომისარი
ა. სვანიძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი
ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის „9“
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

შტატების შემოკლების გამო დათხოვნილთა აღრიცხვის შესახებ.

შტატების შემოკლების გამო დათხოვნილ მუშების და მოსამსახურეების წესიერ აღრიცხვისათვის, შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. დაევალოს სახალხო კომისარიატებს, წარმოებებს, დაწესებულებებს და სხვებს, როგორც სახელმწიფოს, ისე კერძოებს, ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში, შტატების შემოკლების გამო დათხოვნილ მუშათა და მოსამსახურეთა სიები წარუდგინონ: ტფილისში შრომის სახალხო კომისარიატს, მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილებას, ხოლო ადგილობრივ შრომის საძაზრო განყოფილებებს.

2. სიები შედგენილ უნდა იქმნას იმ ფორმით, რომელიც აღნიშნულია ამ დადგენილების მეორე გვერდზე.

3. შრომის სამაზრო განყოფილებებმა ამ დადგენილების მიღების დღიდან ორი კვირის განმავლობაში უნდა მოსთხოვონ ყველა წარმოებას და დაწესებულებას დასახელებული სიები, ხოლო მიღების შემდეგ ეს სიები გამოუგზავნონ შრომის სახალხო კომისარიატს.

4. ის დაწესებულებანი და წარმოებანი, რომელნიც არ შეასრულებენ ამ დადგენილების პირველ მუხლს, ადმინისტრატიული წესით იქმნებიან დასჯილნი.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

საქმეთა მმართველი **მ. ბერძენიშვილი.**

23 იანვარი, 1922 წ.

ქ. ტფილისი.

სია

შტატების შემოკლების გამო დათხოვნილია .

დაწესებულების ან წარმოების სახელი.....

გვარი და სახელი	სქესი	წლოვანება	ქვეშევრდომობა და ეროვნება	განათლების ცენზი	ძირითადი პროფესია და სპეციალობა	ბოლო დროის თანამდებობა	სპეციალობის და პროფეს. სტაჟი	**მისამართი**
1	2	3	4	5	6	7	8	9

შენიშვნა: შტატების შემოკლების გამო დათხოვნილ მცირე-წლოვანთა სწორე რაოდენობის გამოსარკვევად, აუცილებელია იმ სვეტის [illegible] „[illegible] წლოვანებაა"; საჭიროა, რამდენადაც [illegible]ესაძლებელია სხვა სვეტების შევსებაც.

გრძანება № 94

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წლის იანვრის 23-ს დადგენილებით დანიშნულ არიან:

1. ამხ. სამსონ **კარტოზია**—იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად და იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილეს თანამდებობის დროებით აღმასრულებელად.

2. ამხ. პარმენ **გედევანიშვილი**—იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დროებითი წევრად,

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ.

თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევკომის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. იანვრის 23.

ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა-ოფიციალური განყოფილება

თბილისის ბინეების შემჭიდროება.

თანახმად საქართველოს რევკომის განკარგულებისა, 1921 წლის დეკემბრის დასაწყისში გამორკვეული იქმნა ბინები ქალაქის იმ უბნებისა, რომლებშიაც უმთავრესად მუშაობდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისია. ვინაიდან გამორკვევა იყო არა ფართო, ამიტომ მიღებული იქმნა ამოკრებითი სისტემა, რომელიც. მექანიკურათ ირჩევს რა ამა თუ იმ სახელებს გამორკვევის დროს, ჩვეულებრივათ გარანტიას იძლევა გამოყვანილ დასკვნების სისწორისას.

სულ გამორკვეული იყო ქალაქის 3 უბანში 672 ბინა, 1-ლ უბანში 72 ბინა, მეორეში—187 ბინა, 4—135, 9—144 და მე-10=134 ბინა. თვით თანასწორი რაოდენობა გამორკვეულ ბინებისა გვიჩვენებს, რომ ამოკრებითი სისტემა ასე თუ ისე აღმოჩნდა სწორი.

672 ბინიდან შემჭიდროებას ჰქონდა ადგილი 131 ბინაში ანუ 19% რაოდენობის მიხედვით შემჭიდროება იძლევა ასეთ სურათს:

ერთს მცოვრებზე მოდის არე (კვ. ადლ.).

უბნები.	შემჭიდროებამდე.			შემჭიდროების შემდეგ.			შემცირების სიდიდე.	
	საერთო რიცხვი სული.	საერთო არე.	ერთ სულზე მოდიოდა კვ. არშ.	საერთო რიცხვი სული	საერთო არე	ერთ სულზე მოდის კვ. ადლ.	კვ. ადლი.	%-ში.
1	305	7.033	23,0	407	7.083	17,0	6,0	26,0
3	626	15.812	25,2	774	15.812	20,4	4,8	19,1
4	635	8.296	15,1	599	8.296	13,0	1,3	8,6
9	413	11.081	26,8	552	11.081	20,1	6,7	25,0
10	512	9.135	17,8	545	9.135	17,0	0,8	4,5
სულ ხუთივე უბანში.	2,391	51,357	21,5	2,877	51,357	17,8	3,7	17,2

რაგორც ზევითმოყვანილ ცხრილიდან სჩანს ყველაზე მეტად შემჭიდროება შეეხო 9 და 1 უბნებს, ყველაზე ნაკლები 10 უბანს.

შემჭიდროების შემდეგ ცალკე უბნებზე არეს სიდიდის მერყეობის ამპლიტუდა იწყება 0,8 კვ. ადლიდან (4,5%) 10 უბანში ადის 6,7 კვ. ადლამდე (25%) მე-9 უბანში.

უფრო უკეთეს პირობებშია დიდ შემჭიდროების შემდეგ (9 უბანი), მაინც დარჩენ 3 და 9 უბნები, სადაც ერთ მცხოვრებზე საშუალოდ შემჭიდროების შემდეგ 20,1—20,4 კვ. ადლი. ნორმათ მიღებულია 15 კვ. ადლი ერთ სულზე.

თუმცა დანარჩენ უბნებში (მე-4 უბნის გამოკლებით) არე ბინისა ერთ სულზე უახლოვდება ნორმას, მაგრამ მაინც მისი სიდიდე აღემატება ნორმას 3 კვ. ადლი ერთ სულზე.

მე-4 უბანში შემჭიდროებამდის არე ერთ სულზე უახლოვდებოდა ნორმას, შემჭიდროების შემდეგ ის ნორმაზე ნაკლები შეიქნა თითქმის 2 კვ. ადლი, თუმცა შემჭიდროება შეეხო ამ უბანს ყველაზე ნაკლებათ.

მცოვრებთა შემჭიდროების ხასიათის განხილვა იმათი პროფესიის მიხედვით ჩვენ გვაძლევს შემდეგ სურათს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ სულზე მოდის არე კვ. ადლი.

უბნები.	მუშა-მოსამსახურე.		ვაჭარ-მრეწველნი და შემოსავლით მცხოვ.		თავისუფალი პროფესია.		სახლის პატრონს.	
	შემჭიდრეობამდე.	შემჭიდრ. შემდეგ.	შემჭიდრეობამდე.	შემჭიდრ. შემდეგ.	შემჭიდრეობამდე.	შემჭიდრ. შემდეგ.	შემჭიდრეობამდე.	შემჭიდრ. შემდეგ.
1	20	16,1	24	17	35,1	27,7	35,7	17,8
3	23,8	20,1	26,4	20,5	47,1	3,50	31,7	18,5
4	16,4	13,2	12,8	11,6	13,7	18,7	19,0	15,3
9	25,2	19,0	20,2	16,6	32,8	25,8	41,6	22,0
10	18,0	17,0	16,0	15,0	24,0	24,0	18,0	17,0
სულ ხუთივე უბანი.	21,3	18,4	18,4	15,5	30,2	24,0	24,9	17,6

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ შემჭიდრეობამდე ყველაზე უკეთეს პირობებში ბინის არეს სიდიდის მიხედვით იყვნენ თავისუფალ პროფესიის მქონე პირები (სულზე მოდიოდა 30,3 კვ. ადლ. ე. ი. ორჯელ მეტი შავ მუშაზე).

შემჭიდროების შემდეგ სურათი ამ პროფესიის საერთოდ შესამჩნევლად არ იცვლება.

ყველაზე უფრო მეტად შემჭიდრეობა შეეხო სახლის პატრონებს და თავისუფალ პროფესიის ხალხს, ეს თავისთავადაც გასაგებია, ვინაიდან ბინის არეს სიდიდით ისინი სხვაზე მეტად იყვნენ უზრუნველყოფილი. სახლის პატრონის ერთ სულზე შემჭიდროებულია არე საშუალოდ 7,4 კვ. ადლით, ხოლო თავისუფალ პროფესიის ერთ სულზე 6,2 კვ. ადლით, მაგრამ მაინც საშუალოდ ბინის არე თავისუფალ პროფესიის ხალხისთვის რჩება ნორმაზე ზევით 9 კვ. ადლი ერთ სულზე, რაც უთუოდ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ექიმები, ვექილები და სხვა თავისუფალ პროფესიის ხალხი იტოვებენ ნორმის ზევით კაბინეტებს, მისაღებ ოთახებს და სხვა. სახლის პატრონებზე დარჩათ ნორმის ზევით ერთ სულზე არე 2,6 კვ. ადლი.

ყველაზე უფრო ნაკლებ შემჭიდროება შეეხო ვაჭრებს და მრეწველებს, თუმცა არე მათი ბინებისა საერთოდ დაყვანილია ნორმამდე (15,5 კვ. ადლ.) რაც ცხადია, აიხსნება იმ გარემოებით, რომ იმათ წინათაც ხშირად ავიწროვებდენ და ბინის არეს სიდიდით ისინი ნაკლებ იყვნენ უზრუნველყოფილი.

%-ში ეს შემჭიდროება ბინის არეს შემცირების მიხედვით ცალკე კატეგორიებისათვის გამოიხატება ხუთივე უბანში შემდეგნაირად:

შემჭიდროებული ბინები:	
მუშა-მოსამსახურეთა ბინები	13,6%
ვაჭარ-მრეწველი „	15,7%
თავისუფალი პროფეს. „	20,5%
სახლის პატრონი „	23,3%

არ იქნება მოკლებული ინტერესს გამოვირკვიოთ თუ როგორ იქმნა შემჭიდროებული სხვა და სხვა პროფესიის მცხოვრებთა ბინები.

პროფესია	გამორკვეული ბინების რიცხვი			ოთახების იცხვი			მცხოვრებნი				
							შემჭიდრ მდე		შემჭიდრ შემდეგ		
	სულ	აქედან შემჭიდროებულ	% შემჭიდროების	სულ	აქედან შემჭიდროებულ	%	სულ	აქედან ბავშვი 16 წლ.	სულ	%	აქედან ბავშვი 16 წლამ.
მუშა-მოსამსახ.	432	68	15,7	804	123	15,3	1446	306	1676	15,9	347
ვაჭარ-მრეწველები და შემოსავლით მცხოვრებნი	142	25	17,6	278	53	19,0	153	152	631	18,4	170
თავისუფალი პრ.	33	7	21,1	62	13	20,9	82	6	103	25,6	7
სახლის პატრონი	65	31	47,6	211	63	29,9	330	80	467	41,5	107
სულ ხუთივე უბანში	672	131	19,5	1355	252	18,6	2391	544	2877	20,3	631

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ამ ცხრილიდან სჩან პროცენტულათ სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე ნაკლებ მოხვდნენ შემჭიდროებაში მუშა-მოსამსახურენი, მათი ბინებიდან შემჭიდროებული იქმნა (15.7%), ყველაზე მეტად სახლის პატრონნი იქმნენ შემჭიდროებულნი (47,6%).

შემჭიდროების შემდეგ გამორკვეულ ბინებში გაიზარდა მცხოვრთა რიცხვი:

მუშა-მოსამსახურეთა ბინებში	16,7%
ვაჭარ-მრეწველნი და საკუთარ შემოსავლით მცხოვრებთა ბინებში	18,1%
თავისუფალი პროფესია „	25,6%
სახლის პატრონნი „	41,5%

სულ ხუთივე რაიონში მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა—20,3%.; ეროვნების მიხედვით შემჭიდროება იძლევა შემდეგ სურათს:

ერთ სულზე მოდიოდა ბინა ადლებში

ეროვნება	1		3		4		9		10		სულ	
	შემჭიდ. მდე	შემჭიდ. შემდეგ	შემჭიდ. მდე	შემჭიდ. შემდეგ	შემჭიდ. მდე	შემჭიდ. შემდეგ	შემჭიდ. მდე	შემჭიდ. შემდეგ	შემჭიდ. მდე	შემჭიდ. შემდეგ	შემჭიდ. მდე	შემჭიდ. შემდეგ
ქართველები	23,7	17,8	25,8	24,5	17,8	16,8	24,3	19,5	16,0	16,0	21,7	18,0
სომხები	19,6	14,0	24,8	19,9	13,6	14,0	21,6	18,7	19,0	14,0	19,4	16,6
რუსები	23,7	17,7	27,0	20,7	27,3	20,5	31,9	20,9	20,0	19,0	26,0	20,1
ებრაელები	27,1	25,6	11,4	11,4	8,0	8,0	38,9	22,6	34,0	24,0	17.5	15,1
სხვა ეროვნ.	24,5	17,8	34,4	35,6	8,4	8,4	35,3	21,8	23,0	23,0	28,3	21,3

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ შედარებით ყველაზე უფრო შემჭიდროებულნი იქმნენ გამორკვეულ ბინებში სომხები და ებრაელები, ყველაზე ნაკლებ რუსები, ქართველები და სხვა ეროვნებები, რაც აიხსნება შემჭიდროებამდე ბინის არეს სიდიდის უზრუნველყოფით.

ამპლიტუდა მერყეობისა არეს სიდიდის მიხედვით ერთ სულზე შემჭიდროების შემდეგ, უბნებზე განაწილდება შემდეგნაირათ:

ქართველებისთვის—საშუალოდ 16 კვ. ადლიდან—ერთ სულზე (10 უბანში)—24,5 კვ. ადლამდე 3 უბანში.

სომხებისთვის—14 კვ. ადლიდან (1, 4, 10 უბანში) 19,9 კვ. არშინამდე (3 უბანში)

რუსებისთვის—17,7 კვ. ადლიდან (1 უბანში) 20,9 კვ. ადლამდე (9 უბანში)

ებრაელებისთვის—8 კვ. ადლიდან (4 უბანში) 25 კვ. ადლამდე (1 უბანში).

საშუალო სიდიდე არესი 1 სულზე შემჭიდროების შემდეგ ხუთივე უბნებში მცხოვრებთა სხვა და სხვა კატეგორიისათვის შემდეგნაირია:

პროფესია	საშუალო სიდიდე არესი შემჭიდროების შემდეგ კვ. არშინი	შემცირება მოხდა
მუშები და მოსამსახურენი . . .	18,4	2,9 კვ. ად.
ვაჭარ-მრეწველნი და საკუთარ შემოსავლით მცხოვ-ბნი	15,5	2,9 „ „

პროფესია	საშუალო სიდიდე არესი შემჭიდროების შემდეგ	შემცირება მოხდა
თავისუფალი პროფესია,	24,0	6,2 კვ. ადლით
სახლის პატრონნი	17,6	3,6 „ „
სულ ყველა პროფესიებისათვის	17,8	3,7 კვ. ადლით

ამ ცხრილიდან ცხადი ხდება, რომ შემცირება ყველაზე უფრო შეეძლო თავისუფალ პროფესიის ხალხს, ყველაზე ნაკლებ მუშა-მოსამსახურეებს და იმ პირებს, რომლებიც შემოსავლით სცხოვრობენ.

ეროვნების მიხედვით საშუალო სიდიდე ბინის არესი 1 სულზე ხუთივე უბანში შემჭიდროების შემდეგ იძლევა ასეთ სურათს:

ეროვნება	საშუალო სიდიდე არესი შემჭიდროების შემდეგ ერთ სულზე (კვ. ადლებით.)	შემცირება მოხდა
ქართველი	18,0	3,7 კვ. ადლით
სომეხი	16,6	2,8 „ „
რუსი	20,1	5,0 „ „
ებრაელი	15,1	2,2 „ „
სხვა ეროვნება	21,3	7,0 „ „
საერთოთ ხუთივე უბანში	17,8	3,7 „ „

თუ გადავხედავთ უკანასკნელ ცხრილს ვნახავთ, რომ შემცირება ყველაზე უფრო მეტათ შეეხო რუსებს და სხვა ეროვნებებს (ზემოაღნიშნულთა გამოკლებით).

შემჭიდროების შემდეგ დაახლოვებით ნორმაზე დარჩათ ბინები—ებრაელებს და სომხებს, ნორმებს ზევით რუსებს, ქართველებს და სხვა ერებს.

დასასრულ უნდა ვსთქვათ რომ ყველა ეს მოცემული მასალები არ შეიძლება ჩაითვალოს ამოწურულათ იმის გამო, რომ გამორკვევა მხოლოდ 672 ბინის მოგვცეს. სრული სურათი ბინების შემჭიდროების ხასიათზე და საზოგადოთ საბინაო საკითხზე თბილისში, სადაც ბინის მხრივ, შექმნილ პირობების წყალობით, მცხოვრებლები განიცდიან გაჭირვებას რევოლიუციის პირველ დღეებიდან. მხოლოდ დაწვრილებითი და ბინის პირობების ყოველმხრივი გამორკვევას შეუძლია მოგვცეს სრული სურათი ქ. თბილისში საბინაო საკითხის შესახებ.

ბინის საკითხის სწორ გადასაჭრელად აუცილებელია გამოვარკვიოთ უბნებში ქალაქის მცხოვრებთა მოსახლეობა და რაოდენობა საცხოვრებელ ბინებისა და ოთახებისა და მათი კვ. არე—მხოლოდ ასეთ აღწერას შეუძლია მოგვცეს როგორც ბინების სიმჭიდროეს ხასიათი ისე გარკვეული წარმოდგენა მთავრობის იმ ზომებზე, რომლებიც მიღებული იქმნა თბილისში საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად.

ამხ. ლენინის მოხსენება

(დასასრულია *)

რასაკვირველია, მშრომელი მასსების პროფესიონალურად შემაკავშირებელ კომუნისტ ხელმძღვანელისათვის ძნელია შეგნება იმისი, რომ ამ ჟამად ვაჭრობა წარმოადგენს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების დედაბოძს, რომ იგი არის ერთად-ერთი შემაკავშირებელი ჯაჭვი პროლეტარიატის მოწინავე რაზმისა და გლეხობის. და თუ მაგალითად ავიღებთ რომელიმე ვაჭარს, რომელიც ჰხვეჭავს მოგების ასეულ პროცენტებს,—ის მოახერხებს ნედლეულის შეძენას ისე, როგორც ვერ მოახერხებენ ვერც კომუნისტები და ვერც პროფესიონალური კავშირის ხელმძღვანელნი. კერძო მწარმოებელი თქმა არ უნდა, სახელმწიფოსა და სასამართლოს კონტროლს დაექვემდებარება. ჩვენი სასამართლო პროლეტარულია და იგი მოახერებს რომ თვალ-ყური ადევნოს კერძო მწარმოებლებს, რომ მათთვის კანონები ისე არ იწერვბოდეს, როგორც იწერება ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ამას წინად მოსკოვში ჩვენ ვნახეთ ამისი მაგალითი. თქვენ ყველამ კარგად უწყით, რომ ამ მაგალითების რიცხვს ჩვენ გავამრავლებთ და სასტიკად დავსჯით, კერძო მწარმოებელთა მიერ ყოველ ცდა და ჩვენი კანონიერების დასარღვევად მიმართულს. ა აი, სწორედ აქ არის მნიშვნელობა ახალი ეკონომიური პოლიტიკისა. ისწავლეთ, ეს სწავლა ძლიერ სერიოზულია,—ჩვენ ყველანი უნდა განვიწაფოთ ამ დარგში. ეს მოძღვრება, უაღრესად მძვინვარეა—მკაცრი. იგი არა ჰგავს სკოლებში ლექციების კითხვას, ან ეგზამენების ჩაბარებას. იგი არის პრობლემა მძიმე ეკონომიური ბრძოლისა,—ბრძოლის, რომელიც ჩაყენებულია გლახაკს მდგომარეობაში, რომელიც სწარმოებს გაუგონარ სიმძიმის, სიძნელის, უპურობის, შიმშილის, სიცივის და განადგურების პირობებში. მაგრამ იგი არის ის ნამდვილი მოძღვრება, რომელიც ჩვენ უთუოდ უნდა შევისწავლოთ. და ყოველი ცდა ამ ამოცანის თავიდან ასაცილებლად, ან თვალის დახუჭვა და ფიქრი, რომ „ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ“, იქნება უდიდესი და სახიფათო დანაშაული კომუნისტისა და პროფესიონალი ხელმძღვანელისათვის. ამხანაგებო, ამ ცოდვით ჩვენ ყველანი დატვირთულნი ვართ, ჩვენ საბჭოთა რუსეთის მმართველთ—ყველას მიგვიძღვის ასეთი შეცოდება და ეს უნდა აღვიაროთ სრულის გულახდილობით რომ შემდეგში

*) იხ. „მოამბე“ № 28.

მაინც თავიდან ავიცილოთ იგი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამოცანას ჩვენ ვიწყებთ გუშინდელი გამოცდილების საფუძველზე და სწორედ ამაშია ძირითადი შეცდომა. აქ მე მოგიყვანთ ერთ ფრანგულ ანდაზას, რომელიც ამბობს, რომ ადამიანთა ნაკლს დიდი კავშირი აქვს მათს ღირსებებთანაო. საზოგადოდ ადამიანის ნაკლი თითქოს მისივე ღირსების გაგრძელებას შეადგენს. თუ ადამიანის ღირსება უფრო ხანგრძლივია ვიდრე მას საჭიროება მოითხოვს, თუ ღირსება არა მჭლავნდება იქ, სადაც საჭიროა და როცა საჭიროა, მაშინ იგი ღირსება ნაკლად იქცევა ხოლმე. ალბად ყოველი თქვენგანი დაჰკვირვებია ამას კერძო ცხოვრებაში და ჩვენ ყველანი ამას განვიცდით მთელი ჩვენი რევოლიუციის განვითარებაში, ჩვენს პარტიებში, ჩვენს პროფესიონალურ კავშირებში, რომელნიც წარმოადგენენ პარტიის უმთავრეს ყავარჯენს—საბჭოთა რუსეთის მმართველ მთელს აპარატში; ჩვენ ვგრძნობთ ამ ნაკლს, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ჩვენი ღირსების გაგრძელებას. ჩვენი უდიდესი ღირსება იყო ის, რომ სამხედრო და პოლიტიკურ დარგში ჩვენ გადავდგით მსოფლიო ისტორიული ნაბიჯი, რომელიც შევიდა მსოფლიო ისტორიაში როგორც შეცვლა ორი ეპოქისა. ჩვენთვის ამისი წართმევა არავის შეუძლიან. იმპერიალისტური ომიდანა და ყველა ჩვენს ყველა უბედურებათაგან ჩვენ გამოველით მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციის წყალობით, მხოლოდ იმ მოვლენის წყალობით, რომ საბჭოთა წყობილება მოვიდა ძველი წყობილების შესაცვლელად. ამისი უკან წაღება და წართმევა არ შეიძლება. ეს ღირსებაა ხელშეუვალი, დაუჩემებელი,—მისი წართმევა არ შეუძლიანთ ჩვენს მტრებს ვერავითარის ძალადობითა და იერიშებით. მაგრამ თუ ამ ღირსებას ჩვენ გამოვამჭღავნებთ იქ, სადაც საჭირო არ არის, იგი გადაიქცევა ყველაზე სახიფათო ნაკლად. სამხედრო და პოლიტიკურ ამოცანათა გადაწვეტა შეიძლებოდა ენტუზიაზმისა და აღტყინების მეოხებით იმ საფეხურზე, რომელზედაც იდგა მუშათა და გლეხთა შეგნება და განვითარება. მათ შეიგნეს ყველაფერი, შეიგნეს, რომ იმპერიალისტური ომი მათ აღრჩობს, ამის შესაგნებად საჭირო არ იყო მათთვის შეგნებისა და ორგანიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლა. ამ ამოცანათა გადაწყვეტა შეეძლო მხოლოდ იმ ენტუზიაზმს, გმირობასა და აღტყინებას, რომელიც არის ძეგლი რევოლიუციის მონაპოვართა. აი, რამ მიგვახწევინა ჩვენ პოლიტიკურ და სამხედრო გამარჯვებას. და ეს ღირსება ამ ჟამად უსაშინელეს ნაკლად იქცევა ჩვენთვის. ჩვენ ვიყურებით უკან და ვფიქრობთ, რომ ისევე შეიძლება გადაწყვეტა სამეურნეო ამოცანებისა. მაგრამ აქ ჩვენ ვცდებით. ჩვენ გადავჭერით სამხედრო და პოლიტიკური ამოცანები და ამაშია ჩვენი ღირსება და ჩვენი რევოლიუციის მსოფლიო დამსახურება; მაგრამ როდესაც მდგომარეობა შეიცვალა და ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ სულ სხვა ხასიათის ამოცანები, როდესაც ამ შემთხვევაში უკან იქცევიან და მათს გადაწყვეტას გუშინდელის მაგალითებითა ლამობენ, აქ უკვე შეცდომა [illegible] შეცდომა. ნუ სცდილობთ ამას, [illegible] სწყვეტთ.. ეს შეცდომა ჩვენ უნდა შევიგნოთ. როდესაც კომუნისტური პარტიის, ან პროფესიონალური კავშირის მუშაკნი, რომელთაც წინეთ თავიანთი ჯანი გაუცვეთიათ და საკუთარი სიცოცხლე შეულამებიათ მრავალ-წლიანი სამეურნეო მუშაობისითვის, მაგრამ რომელნიც ამ დარგს დასცილებიან და წასულან ან საბჭოთა მომუშავის, ან გუშინდელი მებრძოლის პოსტზე, თუ ისინი გვერდს აუქცევენ ამ სამეურნეო დარგს და იტყვიან რომ „ჩვენ გუშინ უდიდესი საქმე გავაკეთეთ“, აქ არის შეცდომა. ამ შემთხვევაში უნდა ვსთქვა, თქვენ მაგონებთ იგავს იმ ბატების შესახებ, რომელნიც ტრაბახობდნენ „რომის გადარჩენას“ და რომელთაც გლეხმა უპასუხა: „თავი დაანებეთ წინაპრებს და მოთხარით თქვენ თვითონ რა გაგიკეთებიათო“.

ვერავინ უარჰოფს იმას, რომ 1917, 1918, 1919, და 1920 წლებში ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები, გადავწყვიტეთ იმ გამარჯვებით, იმ გმირობით, რომელიც არის მსოფლიო მონაპოვარი. ვერავინ უარჰყოფს იმას, რომ ჩვენ ჩაუყარეთ საძირკველი ახალ, მსოფლიო ისტორიას. ეს ჩვენ გვეკუთვნის და არც პარტიაში, არც პროფესიონალურ კავშირებში, არავინ სცდილობს ამის წართმევას ჩვენთვის. მაგრამ ჩვენს წინაშე ამ ჟამად სულ სხვა ამოცანა სდგას. თქვენ ამ ჟამად გარემოცულნი ვართ კაპიტალისტურ ქვეყნებით, რომელნიც ჩვენ არამც თუ [illegible] გვეხმარებიან, არამედ ხელსაც გვიშლიან. ამ ჟამად თქვენ მუშაობთ მათხოვრულ პირობებში, შიმშილისა და უბედურების პირობებში-ან შეისწავლეთ. მუშაობა სხვა ტემპით და ეს მუშაობა სთვალეთ ათეული წლებით და ან ჩაებღაუჭეთ იმ მასას, რომელიც გაეწამა და რომელსაც არ შეუძლიან მუშაობა რევოლიუციონურ-გმირული ტემპით. შეისწავლეთ ეს-თორემ სამართლიანად გიწოდებენ ბატებს. როდესაც რომელიმე პროფკავშირი ან პარტიული პოლიტიკური მუშაკი დაიწყებს ლაპარაკს, რომ „ჩვენ ასე და ასე, ჩვენ პოლიტიკური პარტია ვართ, ჩვენ განვაგებთ და ვმართავთ და სხვა“-ეს ძალიან კარგია,—ეს ჭეშმარიტებაა, პოლიტიკურ და სამხედრო დარგში ჩვენ ამას კარგად ვასრულებდით, ხოლო სამეურნეო დარგში ამას ცუდად ვაკეთებთ. ეს უნდა შევიგნოთ და გავაკეთოთ უკეთ. ყველა პროფკავშირს, რომელიც ზოგად ფორმებში დააყენებს საკითხს იმის შესახებ—უნდა მიიღონ თუ არა პროფესიონალურმა კავშირებმა მონაწილეობა წარმოებაში—მე ვუპასუხებ: „დაანებეთ თავი ყბედობას, (ტაში) თქვენ კითხვაზე პრაქტიკულად მიპასუხეთ და მითხარით: თუ თქვენ პასუხსაგებ პოსტზედა სდგეხართ როგორც პროფესიონალური კავშირისა და კომუნისტური პარტიის წევრი, როგორც პასუხისმგებელი პირი—მითხარით სად მოაწყეთ კარგი წარმოება ან რამდენ წელიწადსა მუშა-

ობდით მის მოსაწყობად, რამდენი კაცი გყავთ დაქირავებული ათასი თუ ათი ათასი? მომცეით სია იმ პირებისა, რომელთაც თქვენ აყენებთ სამეურნეო სამუშაოზე, რომელიც თქვენ ბოლომდე მიიყვანეთ? ოღონდ ისე კი ნუ იზამთ რომ ოც საქმეს მოეჭიდოთ და მერე ყველა დაუბოლოვებლად მიატოვოთ უილაჯობის გამო, როგორც ეს ხდება ხოლმე ჩვენს, საბჭოთა ჩვეულებისამებრ, არამედ ისე, რომ მეურნეობა მიიყვანოთ ბოლომდე რამოდენიმე წელს ილვაწოთ გამარჯვებისათვის, რომ არ შეგეშინდეთ სწავლა იმ ვაჭრისაგან, რომელიც ას პროცენტ მოგებას აიღებს და კიდევ ქარბად აგაფცქვნისთ. თქვენ კი ნედლეულის შესახებ დამიწერთ ლამაზ რეზოლიუციას და იტყვით რომ: „ჩვენა ვართ წარმომადგენლები კომუნისტური პარტიისა, პროფესიონალური კავშირე ისა, პროლეტარიატისა.“ უკაცრავად, უკაცრავად—კეთილ ინებეთ და მითხარით რას უწოდებთ პროლეტარიატს? პროლეტარიატი არის ის კლასი, რომელიც ჩაბმულია მსხვილი მრეწველობის მუშაობაში; და მითხარით სადა გაქვთ მსხვილი მრეწველობა? ეს რანაირი პროლეტარიატია, სად არის თქვენი მრეწველობა? რატომაა გაჩერებული ეს მრეწველობა!—იმიტომ რომ არ არის ნედლი მასალა. მერე? თქვენ მოახერხეთ მისი შეკრება? არა, დავწერეთ ლამაზი რეზოლიუცია იმის შეკრეფის შესახებ... და ეს რეზოლიუცია თქვენ ჩაგსვამთ გუბეში. და ამის შემდეგ ცხადია, თქვენ ემსგავსებით იმ ბატს, რომლის წინაპრებმაც რომი გადაარჩინეს, და არ გინდათ იმ საქმის შესრულება, რომელიც მძიმეა,—ძნელი, უსიამოვნო, მაგრამ—აუცილებელი. ამ ჟამად ისტორიამ დაგვაკისრა უდიდესი, მძიმე და ძნელი ეკონომიური სამუშაო, რომლისთვისაც დრო განისაზღვრება თვეობით. უდიდესი პოლიტიკური გადატრიალებანი—მთელი ისტორიის სივრცეზე. გრძელ გზასა თხოულობდნენ მათ მოსანელებლად. ყველა დიდი პოლიტიკური ცვლილებანი ხდებოდა მოწინავე რაზმების ენტუზიაზმით, რომელთაც სტიქიურად, ნახევარ—შეგნებით მიჰყვებოდა მასსა. სხვანაირად შეუძლებელი იყო განვითარება იმ საზოგადოებაში, რომელიც დამონავებული იყო მეფეებისა, მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან. და მუშაობის ეს ნაწილი, ე. ი. პოლიტიკური გადატრიალება ჩვენ ისე მოვახდინეთ, რომ მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა უდაოა. მაგრამ ამ დიდი პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ სდგება მეორე, მორიგი ამოცანა. იგი უნდა შევიგნოთ, ეს მოვლენა უნდა გადავიტანოთ, გარდავქმნათ და ვამყნოთ სინამდვილეში. ჩვენ არ უნდა გაგვიტაცოს ფანტაზიებმა რომ „საბჭოთა წყობილება ცუდია, გარდავქმნათ იგი წყობილება“. ჩვენში ძლიერ ბევრია მოსურნე საბჭოთა წყობილების გარდაქმნისა ყოველნაირ ყაიდაზე. და ასეთ გარდაქმნებს თანა სდევს ისეთი უბედურებანი, რომელთა მსგავსიც მე ცხოვრებაში არ მინახავს, რომ ჩვენ ძლიერ ბევრი შეცდომები გვაქვს ჩვენს სამმართველო აპარატში, ეს მე ძლიერ კარგად ვიცი და ყოველ იმ ათი შეცდომის გარდა რომელსაც ყოველი თქვენგანი მიჩვენებს, მე მიგითითებთ კიდევ ასეულ შეცდომებზე. მაგრამ მისი გაუმჯობესება სწრაფი რეორგანიზაციის საშუალებით კი არ შეიძლება, არამედ საჭიროა მონელება ამ დიდი პოლიტიკური გარდაქმნის, რომ შესაძლებელი გახდეს სხვა, კულტურულ-ეკონომიური საფუძველი. საჭიროა მთელი გლეხობა დაგვეხმაროს იმაში, რომ მოვინელოთ ის უდიდესი პოლიტიკური მონაპოვარი, რომელიც ჩვენ მივიღეთ. ამ შემთხვევაში ჩვენ ფხიზელი და ანგარიშიანი ვიყოთ. ეს კურსი ისევ ახალი ხილია, რომელიც ჯერ ეკონომიკისა და მასსების ყოველდღიურ ცხოვრებაში არ შეჭრილა. აქ საჭიროა ათეული წლები, რისთვისაც უდიდესი ძალღონე უნდა დაიხარჯოს. აქ არ გამოდგება ის ტემპი და სისწრაფე, რომელსაც ჩვენ სამხედრო სფეროში ვაწარმოებდით. მე ერთხელ კიდევ მინდა გითხრათ, რომ ხშირად ნაკლი ჩვენი ღირსების პირდაპირი გაგრძელებაა. ეს მინდა ვსთქვა სრულ. რუს. საგანგებო კომისიის შესახებ. ამხანაგებო, თქვენ ძალიან კარგათ უწყით თუ რა ველურ სიძულვილს უნერგავს ეს დაწესებულება რუსეთის ემიგრაციასა და იმპერიალისტური ქვეყნების იმ მმართველ წრეებს, რომელნიც ამ ემიგრანტებთან ურთიერთობაში არიან. ოღონდაც! ეს ის დაწესებულებაა, რომელსაც ჩვენ იარაღადა ვხმარობდით საბჭოთა ხელისუფლებაზე თავდამსხმელთა და შეთქმულთა მიმართ, ვინც უსაზღვროდ ძლიერნი იყვნენ ვიდრე ვართ ჩვენ. მათ, ამ კაპიტალისტებსა და მემამულეებს ჰქონდათ საერთაშორისო დახმარება და ამ დახმარებას მათ უწევდნენ გაცილებით ძლიერი სახელმწიფონი. ამ შეთქმულებათა ისტორიიდან თქვენ კარგად იცით თუ როგორ მოქმედებდნენ ისინი. თქვენ იცით რომ მათთვის პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო გარეშე დაუნდობელი, მკაცრი და სწრაფი რეპრესიებისა, რომლებიც დამყარებული იყო მუშათა და გლეხთა თანაგრძნობაზე. ეს არის ღირსება ჩვენი განსაკუთრებული კომისიისა. ჩვენ ამას აღვნიშნავთ ყოველთვის, როდესაც გავიგონებთ საზღვარ-გარეთ გახიზნულ იმ ემიგრანტების წრიპინს, რომელთაც ყველა ენაზე შეუძლიანთ სიტყვა „ჩეკას“ ხმარება და რომელნიც ამ „ჩეკას“ სახავენ როგორც რუსულ ბარბაროსობის განხორციელებას. ბატონებო, რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალისტებო, ჩვენ ვიცით რომ ასეთ დაწესებულებას ვერ შეიყვარებთ. ოღონდაც! „ჩეკა“ ყოვლის უწინარეს იგებდა თქვენს ინტრიგებსა და ბნელ-მოქმედებას და შესაფერად უმასპინძლდებოდა. მაშინ, როდესაც ლამობდით ჩვენს ამოხრჩობას, როდესაც თავს გვესხმოდით, როდესაც გვიწყობდით შეთქმულებებს და არ ერიდებოდით არავითარ დანაშაულს—ოღონდ დაგვერღვიათ ჩვენი მშვიდობიანი მუშაობა. ჩვენ სხვა პასუხი არ შეგვიძლიან გარდა ისეთი დაწესებულების დაარსებისა, რომელსაც ეცოდინება შეთქმულთა ყოველი ნაბიჯი, და რომელიც იქნება დაუყოვნებელი დამსჯელი. უამისოდ არ შეუძლიან არსებობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, ვიდრე ქვეყნიერებაზე არსებობენ ექსპლოატატორები, ვიდრე ისინი მუ-

შებსა და გლეხებს ხონჩით არ მიართმევენ თავიანთ უფლებებს.

ეს ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, მაგრამ ამასთანავე ერთად ვიცით ისიც, რომ შეიძლება „ადამიანის ღირსება მის ნაკლად გადაიქცეს". ჩვენ ვიცით რომ ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ამ ჟამად, ჩვენ გვავალებს, რომ ამ დაწესებულების მოღვაწეობა განვსაზღროთ მხოლოდ პოლიტიკური, ფეროთი. და თუ კვლავ ისე განმეორდა ცდა კონტრ-რევოლიუციისა როგორც აქამდე იყოს (ჩვენ არა გვაქვს საბუთი რომ ამ მხრივ შეიცვლება ჩვენი მოწინააღმდეგეების ფსიხოლოგია) მაშინ ჩვენ შეგვძლებთ მივაგოთ ისეთი სამაგიერო, რომ ამ სამაგიეროში მათ ფრიად სერიოზული პასუხი მიიღონ. საბჭოთა სახელმწიფო თავის საზღვრებში უშვებს უცხოეთის წარმომადგენლებს. ეს წარმომადგენლები ეხმარებიან კონტრ-რევოლიუციას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, საამისო მაგალითები ბევრად ყოფილა. ჩვენ არ ჩავარდებით ასეთ მდგომარეობაში იმიტომ, რომ შეგვიძლიან დაფასება და გამოყენება ისეთი დაწესებულებისა, როგორიც არის „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია". შეგვიძლიან ყველას მივცეთ მისი გარანტია, მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენ ვიმეორებთ, რომ აუცილებლად საჭიროა ამ კომისიის რეფორმა და მისი მოღვაწეობის სფეროს განსაზღვრა მხოლოდ პოლიტიკურის დარგით. ჩვენ ეს უწყება ასეთ ზოგად რეფორმას უეჭველად უნდა დაუქვემდებაროთ. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა აღებ-მიცემობის განვითარებისა,. ამას თხოულობს ახალი ეკონომიური პოლიტიკა ხოლო ეს ამოცანა კი მოითხოვს დიდს რევოლიუციონურ კანონმდებლობას. ცხადია, რომ ასეთ საკითხს ჩვენ ვერ დავაყენებდით სამხედრო შემოტევის დროს, როდესაც ყოველის მხრიდან ყელში უჭერდნენ ხელს საბჭოთა ხელისუფლებას. და ჩვენ რომ ასე გვექნა, მაშინ ვიქნებოდით პედანტები, მაშინ ჩვენ გავითამაშებდით რევოლიუციას, მაგრამ ამ რევოლიუციას ვერ შევქმნიდით. რამდენადაც უფრო წინ წავა აღებ-მიცემობის განვითარება ამდენად ჩვენ მტკიცე ლოზუნგათ წამოვაყენებთ, მტკიცე რევოლიუციონურ კანონმდებლობას და განვსაზღვრავთ იმ დაწესებულების მოღვაწეობის სფეროს, რომელიც იყო პასუხის გამცემი ყოველი შეთქმულებისა და თავდასხმისა. აი რეზოულტატები იმ დაკვირვებათა, რომელიც მიიღო მთავრობამ ააანგარიშო წლის განმავლობაში.

დასასრულ მე უნდა გითხრათ ამხანაგებო, რომ ის ამოცანა, რომელსაც ჩვენ ეხლა ვწყვეტთ დრომელსაც აქამდე ასე ძნელად ვსწყვეტდით, არის ამოცანა მუშათა და გლეხთა მტკიცე ეკონომიურ ნიადაგზე შეკავშირებისა თვით—უკიდურეს გადატაკებისა და განადგურების დროსაც. კი. ჩვენ ამ ამოცანას მუდამ სისწორითა ვსწყვეტდით, და მისი ხაზი სისწორითა გვქონდა აღებული. და ამ მხრივ რაიმ ეჭვიც კი შეუძლებელია.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და საბჭოთა რუსეთის პერსპექტივები

1922 წლის დამდეგს საბჭოთა რუსეთმა დაიწყო თავისი არსებობის ახალი ერა. თუმცა მართალია მისი შინაგანი ცხოვრების ობიექტიური პირობები თითქოს ხელუხლებლად დარჩა, მაგრამ ეს პირობები სავსებით და არსებითად დიდი ხანია შეიცვალა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსმა ძირეულად გარდაჰქმნა მთელი რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრება და მას უკვე უდიდესი და მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა როგორც ქვეყნის შინაურ, ისე გარეშე მდგომარეობის მხრივ.

ამ ჟამად რუსეთის სახელმწიფოებრივ ყოველ დარგში აშკარადა სჩანს გარდატეხა და დიდი ცვლილება, როგორც მაგ. საფინანსო, სამრეწველო, სამეურნეო და პოლიტიკურ დარგებში. ამ გარდატეხას მოჰყვა როგორც აუცილებელი შედეგი—ევროპის გამარჯვებულ სახელმწიფოების მიერ თავიანთ განწყობილების შეცელა. ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ხელი აიღეს თავიანთ შეურიგებლობაზე საბჭოთა რუსეთის მიმართ და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ შეუძლიანთ გამოსძებნონ საერთო ენა საბჭოთა რუსეთთან დასალაპარაკებლად.

ამრიგად ახალი ეკონომიური პოლიტიკა გადაიქცა ისეთ ფაქტორად, რომელიც ამ განადგურებულ დარღვეულ ქვეყანაში ხელ ახლად, ჰქმნის იმ ორგანოებს, რომელნიც აქნობამდი შეგნებითა, წინასწარის განზრახვითა და სისტემატიურად ნადგურდებოდა. ეს ორგანოებია ფინანსები ვაჭრობა; ამავე ეკონომიური კურსის წყალობით კვლავ სულს იდგამს და ნორმალურ კალაპოტში გადადის ორი ასეთი ორგანიზაცია, როგორიც არის მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების გმირული თავდადებისა და მზრუნველობის მიუხედავად მაინც არყოფნის უფსკრულისაკენ მიექანება. ამ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ კი უცხოეთის კაპიტალის დახმარებით შექმნა რუსეთის მთელი ეკონომიკის ადორ-

ძინების ახალი ბაზა და ასწია მისი საწარმოო ძალა.

ამ პოლიტიკის მთელი დედა აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უმეშველო სოციალისტური მშენებლობიდან დაიხია სახელმწიფო კაპიტალიზმის პოზიციისაკენ. ამისი დამახასიათებელი თვისება კი იმაში მდგომარეობს რომ ძველმა პოლიტიკამ სავსებით მოსპო კერძო მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა, და ეს დარგი სახელმწიფოს მიაკუთნა მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნდა მზა, ორგანიზაციული ფორმები, რომელთაც შეეძლოთ კერძო მეურნეობა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოწოდებულია იქითკენ, რომ ეს კერძო მეურნეობის ფორმები შეცვალოს საჯარო ფორმებით, მხოლოდ იმ ზომიერ შეფარდებით, რომელსაც მოითხოვს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საორგანიზაციო ძალთა და საშუალებათა ზრდა.

ძველი პოლიტიკა ასეთი პირობების მეოხებით დაუზოგველად ჰფლანგავდა ქვეყნის საწარმოო ძალებს. ახალმა პოლიტიკამ თავის მიზნად და რეგულიატიურ პრინციპად დაისახა ამ საწარმოო ძალთა გაფრთხილება და განვითარება. ძველი პოლიტიკა სულ სხვა ფორმებს ისახავდა სოციალიზმზე გადასასვლელ საშუალებად, ახალი პოლიტიკა ამ მხრივ სავსებით განირჩევა და განსხვავდება. იგი ამაგრებს სახელმწიფოს შინაგანი ძლიერების ორგანიზმს, აკავშირებს და ამტკიცებს მის ელემენტებს და ამ მხრივ არა ჩვეულებრივად აძლიერებს სახელმწიფოს გარეშე და შინაურ მტერთა გაერთიანებულ ფრონტის წინაალმდეგ.

შორეულ პროგნოზებს რომ თავი დავანებოთ, მაშინ ძნელი არ არის იმის დანახვა რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი იმ მხრივ მაინც, რომ ჩვენ უკვე მოგვეპოება ბიუჯეტი. ეს ბიუჯეტი არა ჰგავს იმ ქაღალდის ნიშნების ასტრონომიულ ბიუჯეტს, რომელიც შეუჩერებლად იზრდება და არყევს სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს, არამედ ძველი ოფიციალური ტერმინით რომ ვსთქვათ—ნამდვილი ოქროს მანეთის ბიუჯეტი.

როგორც ამ პოლიტიკის მეორე მნიშვნელოვანი [illegible] აღინიშნოს, ის ზრუნვა რომელსაც იჩენს საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება ვალიუტის მოსაგვარებლად, ეს საფინანსო პრობლემა, სხვათა შორის უმთავრეს და საყურადღებო საგანთაგანი იყო ეხლახანს დასრულებულ სრულიად რუსეთის საბჭოთა მეცხრე ყრილობისა რომელმაც დეტალურად განიხილა იგი.

ყრილობამ თავის საფინანსო მუშაობის დროს განიხილა რა საფინანსო პრობლემა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან, ცენტრალურ საკითხად დააყენა ვალიუტის აღდგენის საკითხი. ყრილობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქაღალდის ნიშნების სტაბილიზაციისა და ფინანსების ოქროს მანეთით უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია აღდგენა, როგორც პროლეტარულ სახელმწიფოებთანა და კერძო მწარმოებლებთან აღებ-მიცემობა, აგრეთვე მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის სწორ, კომერციულ ნიადაგზე დაყენება. ყრილობამ ამ მხრივ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი ძველი ფულის მეურნეობის შესახებ.

ვინაიდან ქაღალდის ფულის კურსის დაცემას შეუძლიან გამოიწვიოს დაუსრულებელი ემისიები საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად, ამიტომ ყრილობამ მთავარი ყურადღება მიაქცია სახელმწიფო ბიუჯეტის გაჯანსაღების საკითხს.

როგორც ყრილობამ აღნიშნა რუსეთის კოლოსალური ბიუჯეტის დეფიციტი უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია სახელმწიფოს ყველა წარმოებათა დეფიციტით. მეორე მიზეზი ამ დეფიციტისა ის არის რომ ბიუჯეტის საგასავალო ნაწილი სისწორით არ არის გათვალისწინებული და შედგენილი, აგრეთვე ის, რომ სახელმწიფოში არ არსებობს ფულის გადასახადი და მთავარი მიზეზთაგანი არის ისიც, რომ სახელმწიფოს კმაყოფაზეა გადატანილი ყველა ადგილობრივი მოთხოვნილება.

ცხადია, რომ ბიუჯეტის გაჯანსაღებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ამ ბიუჯეტის განტვირთვა და განთავისუფლება ისეთი ხარჯებისაგან, რომლებიც წინეთ საქალაქო, საერობო და სათემო შემოსავალით ისტუმრებოდა.

ამასთანავე ერთად ყრილობამ დაამტკიცა აგრეთვე ძველი დადგენილება იმის შესახებ, რომ ადგილობრივ საბჭოებს თავიანთ მოთხოვნილებათა და ხარჯების დასაფარავად გადაეცეს სარეწავი გადასახადის ერთი ნაწილი და აგრეთვე მიეცეს მათ უფლება სხვა და სხვა აუცილებელ და საგანგებო დანიშნულებისათვის გადასახადის აკრეფისა.

ეჭვი არ არის, რომ რუსეთის ბიუჯეტი ზემოხსენებული ხარჯებისაგან განთავისუფლება და გამოაჯანსაღებს მას და ნორმალურ გზაზედ გამოაბრუნებს ნაგულისხმევ ემისიებს, რომლებიც ხშირად ქაოტიურ ვაკხანალიას ჰქმნიან, როგორც ამას ვამჩნევთ ამ უკანასკნელ პერიოდში.

ლი—სარ.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქობრივი აქტების ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს, რომ თანახმად № 28 დეკრეტის 63 მუხლისა, მოქ. **კონსტანტინე ესტატეს ძე კვესაძემ** შემოიტანა განცხადება თავისი გვარის—**კვესაძის**—**ნოემბარზე** შეცვლის შესახებ.

ქვე-განყოფილების უფროსი **სვიმონიშვილი.**

საქმის მწარმოებელი **ბენაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

ოფიციალური განყოფილება.

1) დეკრეტი № 87 საქ. რევკომისა აქტების და დოკუმენტების ოანხების და სადერბო გადასახადის განაკვეთთა შეტვლისა და საკანცელარიო ბაჟის შესახებ.

2) დადგენილება № 131 საქ. რევკომისა საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის დაარსების შესახებ გამოტემული დადგენილების დამატებისა. გვ. 4—5.

3) „ № 134 საქ. რევკომისა სამოქალაქო საქმეთათვის სასამართლოს ხარჯების შესახებ.

4) » № 135 საქ. რევკომისა სამხედრო საგეტერინარო ნაწილის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საგეტერინარო სანიტარო განყოფილებასთან შეერთების შესახებ.

5) „ № 136 საქ. რევკომისა სახალხო ბანკის წესდების შეტვლისა და დამატების შესახებ.

6) » № 137 საქ. რევ. კომიტეტისა სამეურნეო ორგანოების შესახებ—ტვირთზიდვის ხარკის წესით გაწვეულ მუშა-ხელითა და ტვირთზიდვის საშუალებით.

7) » № 133 საქ. რევკომისა. საგადიუტო ოპერაციების შესახებ. გვ. 5—8.

8) დადგენილება შრომის სახ. კომისარიატისა შტატების შემოკლების გამო დათხოვნილთა ადრიცხვის შესახებ.

არა ოფიციალური განყოფილება.

9) ტფილისის ბინების შემწიდრობა. გვ. 9—12.

10) ამხ. ლენინის მოხსენება. გვ. 12—15.

11) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და საბჭოთა რუსეთის პერსპექტივები. გვ. 15—16.

ნ. დ. ს. ც. ტფილისი. სახელმწიფო სტამბა—ტირაჟი 2500.